ოქმი N7

ხობის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2016 წლის 29 მარტი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 13

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 13

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. ნუგზარ შუშანია
7. მალხაზ ლაგვილავა
8. როსტევან გვარამია
9. ვასილ კუკავა
10. ლაშა ცატავა

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

*დღის წესრიგი:*

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გ. ქაძანაიას 2016 წლის 26 თებერვლის №95 განცხადების განხილვა (იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში გაწევრიანების თაობაზე).

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 17 თებერვლის N05/351 და 2016 წლის 17 მარტის N05/621 წერილების განხილვა („ქ. ხობში ცენტრალური სტადიონისთვის პაატა თათარიშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 17 მარტის N05/623 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო

საშუალების სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

4. №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დ. ჯობავას 2016 წლის 23 მარტის №10/2016 წერილის განხილვა ( №66.17 ყულევის თემის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2016 წლის 22 მაისს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების თარიღის დანიშვნის თაობაზე).

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

5. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თ. ჟვანიას 2016 წლის 23 მარტის №01-02/630 წერილის განხილვა (№66 ხობის საარჩევნო ოლქის №66.17 ყულევის თემის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში, 2016 წლის 22 მაისს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების გამართვის თაობაზე).

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

6. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის მიერ 2015 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

7. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 28 მარტის N04/803 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

8. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 28 მარტის N05/810 წერილის განხილვა („ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების სოფელ ყულევის №66.17 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2016 წლის 22 მაისს გასამართ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

9. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 28 მარტის N05/811 წერილის განხილვა „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტისა და „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

10. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 28 მარტის N03/817 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2015 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი**

**დაადგინეს:** დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

## დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გ. ქაძანაიას 2016 წლის 26 თებერვლის №95 განცხადების განხილვა (იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში გაწევრიანების თაობაზე).

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

**მოისმინეს: ნ. შუშანია** - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გ. ქაძანაიას განცხადება იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში გაწევრიანების თაობაზე და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრი გენადი ქაძანაია საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე შემოვიდა განცხადებით საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში გაწევრიანების თაობაზე. კომისიის მიერ განხილვის შესაბამისად მომზადა

განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“(ოქმს თან ერთვის). გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი**

**დაადგინეს:** წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 17 თებერვლის N05/351 და 2016 წლის 17 მარტის N05/621 წერილების განხილვა („ქ. ხობში ცენტრალური სტადიონისთვის პაატა თათარიშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

**მოისმინეს:** გ. სიჭინავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ქ. ხობში ცენტრალური სტადიონისთვის პაატა თათარიშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა ფეხბურთის გულშემატკივართა განცხადება, სადაც ისინი ითხოვენ ხობის ცენტრალური სტადიონისთვის სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკის, წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, მწვრთნელის და საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ ყოფილი თავკაცისა და პრეზიდენტის პაატა თათარიშვილის სახელის მინიჭებას. საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის მიერ შესწავლილ იქნა აღნიშნული საკითხი, მოძიებულ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და განაცხადა, რომ პ. თათარიშვილს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ხობში ფეხბურთის განვითარების საქმეში, ის თავადაც თამაშობდა ხობის „კოლხეთში“ თავდამსხმელის პოზიციაზე და წლების განმავლობაში ძირითადად

ლიდერის პოზიციას ინარჩუნებდა, შემდეგ კი გუნდის თავკაცი გახდა და ამ პერიოდშიც არაერთ გამარჯვებას მიაღწია გუნდმა, 1988 წელს ხობის „კოლხეთი“ საქართველოს ჩემპიონი გახდა, ხოლო წინა  და მომდევნო წლებშიც ჩემპიონატში ღირსეულად ეჭირა მეორე ადგილი, ამის დასტურია იმდროინდელი პრესის მასალები, სიგელები და დიპლომები, რომლებიც მოძიებულ იქნა კომისიის მიერ. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მეორე ნაწილის „პ“ ქვეპუნქტის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობა უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში უზრუნველყოს გეოგრაფიული ობიექტების სახელდება, თუმცა „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე პირთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ, ამ წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო“, გამომდინარე იქედან, რომ პ. თათარიშვილი გარდაიცვალა 2009 წელს, მთავრობის დადგენილებით დადგენილი ნორმის შესაბამისად მომზადდა განკარგულების პროექტი „ქალაქ ხობში ცენტრალური სტადიონისთვის პაატა თათარიშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მიესალმება ხობის ცენტრალური სტადიონისთვის პაატა თათარიშვილის სახელის მინიჭებას, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ხობში ფეხბურთის განვითარების საქმეში და იმედი გამოთქვა,რომ სახელმწიფო კომისია დადებითად გადაწყვეტს აღნიშნულ მოთხოვნას. ამასთან დიდი მადლობა გადაუხადა საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს გ. სიჭინავას და საკრებულოს აპარატის უფროსს ლ. შამათავას იმ გაწეული საქმიანობისთვის, რაც მათ გასწიეს წრმოდგენილი საკითხის მომზადების გამო. გამომსვლელმა მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული  მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 10, წინააღმდეგი – არა ერთი**

**დაადგინეს:** წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 17 მარტის N05/623 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

**მოისმინეს:** გ. სიჭინავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება მსუბუქი ავტომანქანა „ტოიოტა ქემრი" გამოშვებული 2012 წელს, შავი ფერის, ტიპი-მსუბუქი გამავლობის, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე სარგებლობის უფლებით გადაცემული ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტს. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის 2016 წლის 29 თებერვლის N512909 და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 2 მარტის N5/10184 წერილების საფუძველზე გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ მომზადდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ავტომანქანა „ტოიოტა ქემრის" სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები.

**აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა** - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მისი აზრით უმჯობესი იქნებოდა აღნიშნული მანქანა არ გადაცემოდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტს, რადგანაც მუნიციპალიტეტის გამგებლის მომსახურე მანქანა ამორტიზებულია, რომელსაც წლის განმავლობაში სარემონტოდ სჭირდება უამრავი თანხები, გამომდინარე აქედან მუნიციპალიტეტის გამგებელს ესარგებლა აღნიშნული მანქანით.

**მ. ლაგვილავა** - გამომსვლელმა აღნიშნა, ყოველ წელს, რომ არ გადაეცეს მსუბუქი გამავლობის „ტოიოტა ქემრიზე“ სარგებლობის უფლება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტს, მისი აზრით უმჯობესი იქნებოდა საკუთრებაში გადაეცათ ის.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი**

**დაადგინეს:** წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

4. №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დ. ჯობავას 2016 წლის 23 მარტის №10/2016 წერილის განხილვა ( №66.17 ყულევის თემის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2016 წლის 22 მაისს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების თარიღის დანიშვნის თაობაზე).

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

წარმოდგენილი საკითხის განხილვამდე მომხსენებელი (ლ. ცატავა) შემოვიდა წინადადებით, რომ წარმოდგენილ საკითხთან ერთად განხილულიყო, მათი შინაარსიდან გამომდინარე, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-5 და მე-8 საკითხები.

ბიუროს ყველა წევრი ერთხმად დაეთანხმა წარმოდგენილ წინადადებას მე-4, მე-5 და მე-8 საკითხების ერთად განხილვის თაობაზე

**მოისმინეს:** ლ. ცატავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წერილები №66 ხობის საარჩევნო ოლქის №66.17 ყულევის თემის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში, 2016 წლის 22 მაისს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების გამართვის თაობაზე და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების სოფელ ყულევის №66.17 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2016 წლის 22 მაისს გასამართ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ და კომისიის საერთო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრის შოთა სირაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 22

მარტის N127/2016 წლის განკარგულებით სოფელ ყულევის №66.17 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2016 წლის 22 მაისს დაინიშნა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნები. წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს სოფელ ყულევის №66.17 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის პერიოდში შენობა-ნაგებობების გარე იერსახის დამახინჯებისა და საარჩევნო ატრიბუტიკის შეუფერებელ ადგილებში განთავსების აღკვეთას, ამასთან წარმოდგენილი პროექტით განისაზღვრება საარჩევნო სუბიექტებისთვის ამომრჩევლებთან შეხვედრების, კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების გასამართად ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, ასევე ადგილები, სადაც შესაძლებელი იქნება წინასაარჩევნო აგიტაციისთვის განთავსდეს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატები და განცხადებები. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს გამოეთქვათ მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი**

**დაადგინეს:** წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

5. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თ. ჟვანიას 2016 წლის 23 მარტის №01-02/630 წერილის განხილვა (№66 ხობის საარჩევნო ოლქის №66.17 ყულევის თემის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში, 2016 წლის 22 მაისს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების გამართვის თაობაზე).

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

**წარმოდგენილი საკითხი განხილულ იქნა დღის წესრიგის მე-4 საკითხთან ერთად**

6. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის მიერ 2015 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-სარევიზიო

**მოისმინეს:** ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის მიერ 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის მიერ 2015 წლის სამუშაო გეგმის საფუძველზე ჩატარდა შიდა აუდიტორული შემოწმება ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის იურიდიულ პირებსა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ექვს სტრუქტურულ ერთეულში. ანგარიშიდან ირკვევა, რომ საჯარო სამსახურებში საჯარო მოხელეთა და იურიდიულ პირებში დასაქმებული პირების მხრიდან ადგილი აქვს სისტემატიურ გაცდენებს, ასევე დგას სამსახურებში გამოცხადების პრობლემა, რაზეც გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურს მიეცა რეკომენდაცია მსგავსი გადაცდომების აღკვეთის მიზნით მოახდინონ შესაბამისი რეაგირება. ამასთან აუდიტის სამსახურს მიეცა რეკომენდაცია მოამზადოს გამოვლენილი უზუსტობების აღმოსაფხვრელად საჭირო წინადადებები. კომისიის სხდომაზე სამსახურის ანგარიშის მოსმენისას, თავად სამსახურის ხელმძღვანელისა და თანამშრომლების მხრიდან აღინიშნა, რომ სამსახური ქვეყნის მასშტაბით ახალი შექმნილია ადგილობრივ დონეზე, საქმეში არის ისეთი დეტალები და ნიუანსები, რომელიც საჭიროებს უფრო მეტ გამოცდილებასა და პრაქტიკას, მიუხედავად არსებული სამართლებრივი ბაზისა და შესაბამისი რეკომენდაციებისა. თუმცა მათი მხრიდან აღინიშნა, რომ ამ ერთწლიანმა მუშაობამ მათ გარკვეული გამოცდილება შესძინა და გამოთქვეს მზადყოფნა მიმდინარე წელი უფრო მეტად ეფექტური და შედეგობრივად თვალსაჩინო გახადონ. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ იმსჯელა და ამ ეტაპზე სამსახურის მუშაობა შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი ანგარიშის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი**

**დაადგინეს:** წარმოდგენილი ანგარიში შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

7. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 28 მარტის N04/803 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

**მოისმინეს:** ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება სხვადასხვა სახის ცვლილებები: მცირდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები 88,4 ათასი ლარი, კერძოდ: პროგრამის „სკოლამდელი განათლების დაფინანსება“ ასიგნება 40 ათასი ლარით, 20,0 ათასი ლარით ქვეპროგრამის ,,უმწეოთა სასადილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება“ ასიგნება, 28,4 ათასი ლარით ,,წინა წელს გამოუყენებელი თანხის დაბრუნება“ ასიგნება. გამონთავისუფლებული 88,4 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: ქვეპროგრამის „წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ ასიგნებებზე 60,0 ათასი ლარი; პროგრამის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ ასიგნებებზე 28,4 ათასი ლარი. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის N15 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, ანუ შემოსულობების გეგმა შეადგენს 9585,2 ათას ლარს. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები.

**აზრი გამოთქვეს: დ. გაბუნია, მ. ქარდავა** - გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანების ბიუჯეტში არსებული 40,0 ათასი ლარის ეკონომია მიმართულ იქნა სხვა ღონისძიებებისთვის, დაინტერესდნენ, თუ რატომ მიიმართა აღნიშნული თანხა სხვა ღონისძიებისთვის, როდესაც სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებას შეეძლო ამ თანხის გაერთიანების მიზნისთვის გამოყენება.

**ტ. ალექსანდრია** - გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ეტაპისთვის ობიექტური მიზეზების გამო, საჭირო იყო თანხის გადამისამართება, მაგრამ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ელოდებიან

თანხის შემოსვლას, რის შემდგომაც აღნიშნული თანხა ისევ მიმართული იქნება სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების ბიუჯეტში.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი**

**დაადგინეს:** წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

8. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 28 მარტის N05/810 წერილის განხილვა („ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების სოფელ ყულევის №66.17 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2016 წლის 22 მაისს გასამართ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

**წარმოდგენილი საკითხი განხილულ იქნა დღის წესრიგის მე-4 საკითხთან ერთად**

9. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 28 მარტის N05/811 წერილის განხილვა „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტისა და „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

**მოისმინეს:** ლ. ცატავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის საერთო დასკვნა წარმოდგენილ

საკითხებთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად, შიდა აუდიტის ფუნქციისაგან უნდა იქნეს გამიჯნული სამსახურებრივი გადაცდომის ან/და დაწესებულების მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმებისა და აღმოჩენის მიზნით სამსახურებრივი შემოწმების ღონისძიებები, რაც ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციათაგანია. კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურში შიდა აუდიტის განყოფილების შექმნა და შიდა აუდიტის ფუნქციების გამიჯვნა სამსახურის სხვა ფუნქციებისგან. ზემოთ აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. მომზადებული საშტატო ნუსხის თანახმად, შიდა აუდიტის განყოფილებაში გათვალისწინებულია 3 საშტატო ერთეული: 1 განყოფილების უფროსი, 1 მთავარი სპეციალისტი და 1 წამყვანი სპეციალისტი, ხოლო სამსახურის დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განსახორციელებლად, განყოფილების გარეთ ასევე 2 საშტატო ერთეული - 1 მთავარი სპეციალისტი და 1 უფროსი სპეციალისტი. შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურში განხორციელებული ცვლილების პარალელურად, ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ურბანული განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილებაში 1 მთავარი სპეციალისტის შტატი გარდაიქმნება წამყვანი სპეციალისტის შტატად. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მათი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები.

**აზრი გამოთქვეს: მ. ლაგვილავა** - გამომსვლელმა განაცხადა, რომ არ ეთანხმება გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურში შიდა აუდიტის განყოფილების შექმნას

რადგანაც სამსახურში თუ შეიქმნება განყოფილება, მაშინ მინიმუმ ორი მაინც უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი მიზნისთვის შექმნილ სამსახურს არ სჭირდება ცალკე ერთი განყოფილება.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი**

**დაადგინეს:** წარმოდგენილი პროექტები შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

10. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 28 მარტის N03/817 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2015 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

**მოისმინეს:** ლ. ცატავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი ანგარიშის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი**

**დაადგინეს:** წარმოდგენილი ანგარიში შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა